არჩილ გეგეშიძე

გზა შერიგებისკენ: ვართ მზად აფხაზებთან და სამხრეთელ ოსებთან ურთიერთობების აღსადგენად?

შესავალი

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ორი კონფლიქტი — ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური — უკვე სამი ათწლეულის განმავლობაში რჩება ქვეყნის უსაფრთხოებისა და განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როდესაც რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა აღიარა და ამ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზები განალაგა, კონფლიქტების პოლიტიკური გადაწყვეტის პერსპექტივა მნიშვნელოვნად გართულდა. რეინტეგრაციის დღის წესრიგი შეიცვალა **დაძაბული სტატუს-კვოს პირობებში კონფლიქტ(ებ)ის მართვის** ამოცანით, ხოლო პირდაპირი მოლაპარაკებები დე ფაქტო რეჟიმებთან პრაქტიკულად შეწყდა.

ამ ვითარებამ დროთა განმავლობაში გააღრმავა ქართველებსა და აფხაზებს/ოსებს შორის **ურთიერთგაუცხოება**, რაც ხელს უშლის შერიგების შესაძლებლობების გაჩენას. რუსეთი ეფექტურად იყენებს ამ გარემოებას საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად, როგორც სამხედრო, ისე სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმებით. თუმცა აფხაზურ საზოგადოებაში თანდათან იზრდება ცნობიერება, რომ რუსეთის „მფარველობა“ არ არის უანგარო და რომ მოსკოვის მიზანი აფხაზეთის სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამორჩილებაა. მიუხედავად ამისა, ქართველი დევნილების დაბრუნების შიში იმდენად ძლიერია, რომ აფხაზური საზოგადოება ამ პროცესს ჯერ ვერ ეწინააღმდეგება და იძულებულია დარჩეს რუსეთის გეოპოლიტიკურ ორბიტაზე, მიჰყვეს რუსეთის მიერ შემუშავებული სცენარის დინებას.

სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ვითარება ნაწილობრივ განსხვავებულია — მოსახლეობის არანაკლებ ნახევარი თანახმა იქნებოდა, რომ რუსეთს მოეხდინა ამ ტერიტორიის ანექსია და შედეგად სამხრეთ ოსეთი შეერთებოდა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილოეთ ოსეთს[1].

ამგვარი გარემოებების ფონზე აუცილებელი ხდება რაიმე პოზიტიური პროცესის შექმნა, რომელიც შეამცირებდა ქართველებსა და აფხაზებს და ქართველებსა და ოსებს შორის გაუცხოებას და, ამით, შეიქმნებოდა ნდობის აღდგენის საფუძველი. სხვა სიტყვებით, დღის წესრიგში დგება **კონფლიქტების ტრანსფორმაციის ამოცანა,** რომელიც მოიცავს არა იმდენად პოლიტიკური მოგვარების გზების ძიებას, რამდენადაც დაპირისპირებულ საზოგადოებებს შორის ურთიერთობების ნორმალიზებას, ნდობის აღდგენასა და მტრის ხატის შესუსტებას. ტრანსფორმაცია გულისხმობს მრავალდონიან ურთიერთქმედებას ადამიანებს, თემებსა და

[1] სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში საზოგადოების ინფორმირებულ ნაწილს, მსგავსად აფხაზური ელიტისა, ესმის რუსეთის პოლიტიკის რეალური მოტივი, თუმცა ირედენტიზმი იმდენად ძლიერია, რომ რეზისტენტულობას ვერ ამჟღავნებს.

ინსტიტუტებს შორის — განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც ნაკლებად პოლიტიზებულია: ვაჭრობა, განათლება, ჯანდაცვა, კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობა.

კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთობების ეს ელემენტები მეტ-ნაკლებად სახეზეა მოლდოვასა და დნესტრისპირეთის, ასევე ჩრდილო და სამხრეთ კვიპროსის მაგალითზე, სადაც კონფლიქტები პოლიტიკურად ჯერ კიდევ მოუგვარებელია, მაგრამ მხარეებს შორის ურთიერთობები უფრო ცივილიზებულ ხასიათს ატარებს. კონფლიქტების ტრანსფორმაციის ეს კონცეფცია, ერთი შეხედვით, უპირობოდ მისაღები უნდა იყოს საქართველოში არსებული კონფლიქტ(ებ)ის მხარეებისთვის. **თუმცა უცნობია, რამდენად არიან მზად ამგვარი ურთიერთობებისთვის ქართული და აფხაზური/სამხრეთოსური საზოგადოებები**. სავარაუდოდ, ქართული საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებში შემორჩენილია მეორე მხარისადმი უნდობლობა, შიში, აგრესია. ამ თვალსაზრისით არც ოფიციალური თბილისისა და აფხაზური და სამხრეთოსური დე-ფაქტო ადმინისტრაციების მზაობა შეინიშნება. ვითარებას ართულებს რუსეთ-უკრაინის ომის საბოლოო შედეგების ბუნდოვანებაც, რაც ძნელად გამოსაცნობს ხდის რუსეთის სამომავლო პოზიციას საქართველოში არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით. მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, ქართულ ანალიტიკურ წრეებში გაჩნდა ინტერესი, პირველ რიგში შესწავლილიყო ქართული საზოგადოების მზაობა, კერძოდ სხვადასხვა ჯგუფის მიერ კონფლიქტ(ებ)ის აღქმა, დამოკიდებულება და მოლოდინები. პასუხს მოითხოვდა კითხვა: **ვართ კი მზად, შევხედოთ კონფლიქტს არა როგორც მხოლოდ პოლიტიკურ პრობლემას, არამედ როგორც ადამიანურ ტრაგედიას, რომელიც საერთო ძალით უნდა გადაიქცეს განვითარების შესაძლებლობად?**

ამ მიზნით, 2024 წლის ზაფხულში ჩატარდა **საზოგადოებრივი აზრის შესწავლა**[2], რომლის დროსაც გამოიკითხა 1995 რესპონდენტი თბილისსა და რეგიონებში. შერჩევა განხორციელდა სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერული პრინციპით, ხოლო ინტერვიუები ჩატარდა კომპიუტერის მეშვეობით პირისპირ (CAPI) 2024 წლის 29 მაისიდან 2 ივლისამდე. ამავე პერიოდში განხორციელდა 5 ონლაინ შეხვედრა (ფოკუს ჯგუფი) დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლებთან. კვლევის მიზანი იყო დადგენილიყო, როგორ აღიქვამს ქართული საზოგადოება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებულ ვითარებას, რამდენად ინფორმირებულია მიმდინარე პროცესების შესახებ, როგორია დამოკიდებულება ურთიერთობების აღდგენისა და ტრანსფორმაციის მიმართ და რამდენადაა მზად საზოგადოება შერიგების მიმართულებით ნაბიჯების გადასადგმელად.

წინამდებარე ნარკვევი მიზნად ისახავს ხსენებული კვლევის შედეგების საფუძველზე შეფასდეს საქართველოში არსებული კონფლიქტ(ებ)ის ტრანსფორმაციის პოტენციალი, პირველ რიგში ქართული საზოგადოების მზაობის კუთხით. იმედს ვიტოვებთ, სამომავლოდ, მოხერხდება ანალოგიური კვლევის ჩატარება ხელისუფლების მხრიდან მზაობის შესწავლის მიზნითაც. რაც შეეხება თავად აფხაზური და სამხრეთოსური საზოგადოებებისა თუ დე ფაქტო

[2] კვლევა, რომლის საველე სამუშაოები და მონაცემთა ანალიზი CRRC-მა ჩაატარა, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის, „კავკასიური სახლისა“ და „ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის“ ერთობლივი დაკვეთით განხორციელდა. კვლევის ანგარიში და მონაცემთა ბაზა იხილეთ აქ: https://crrc.ge/angarishi-sakharthveloshi-arsebuli-konphlikhtebi-aghkhmebi-damokidebulebebi-molodinebi/

ხელისუფლებების კონფლიქტ(ებ)ის ტრანსფორმაციის მიმართ დამოკიდებულებებს, მრავალ ფაქტორთა გამო ამგვარი კვლევის ჩატარების პერსპექტივა ბუნდოვანია, თუმცა აქტუალობა ეჭვს არ იწვევს.

კონფლიქტ(ებ)ის ტრანსფორმაციისთვის საზოგადოებრივი მზაობა: ძირითადი ტენდენციები

1. <u>ინფორმირებულობის დაბალი დონე</u>

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მოსახლეობის უმეტესობა **არ არის სათანადოდ ინფორმირებული** აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ: მხოლოდ 9%-მა განაცხადა, რომ სრულად იცნობს ამ საკითხებს, ხოლო ნახევარზე მეტი (56%) — საერთოდ არ ან ნაკლებად არის ინფორმირებული.



გარდა ამისა, 58%-ს მიაჩნია, რომ **ქართული მედია არ აწვდის საზოგადოებას საკმარის ინფორმაციას** ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარების შესახებ. ეს მიუთითებს საინფორმაციო სივრცის სუსტად განვითარებულ და ხშირად პოლიტიზებულ ბუნებაზე, სადაც კონფლიქტ(ებ)ის თემატიკა იშვიათად ხდება საჯარო განხილვის საგანი.



ინფორმაციული დეფიციტი განსაკუთრებით საგრძნობია საქართველოს მთავრობისა და არასამთავრობო სექტორის სამშვიდობო ინიციატივებთან დაკავშირებით: 43% საერთოდ არ იცნობს ამ პროგრამებს, ხოლო 25% მხოლოდ ზედაპირულად. ასეთ ვითარებაში მოსახლეობისთვის რთულია ტრანსფორმაციული პროცესების მნიშვნელობის გააზრება, რაც უშუალოდ ზღუდავს საზოგადოებრივ ჩართულობას.[3]

[3] სივრცის ეკონომიის მიზნით, ქვემოთ წარმოდგენილია მხოლოდ ერთი დიაგრამა, რომელიც მთავრობის საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობას ეხება. თითქმის იდენტურია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საექსპერტო წრეების საქმიანობის ცნობადობის სურათიც.



2. <u>ადამიანური კავშირების სიმცირე, თუმცა ურთიერთობებისადმი პოზიტიური განწყობა</u>

პირადი კონტაქტების თვალსაზრისით, გამოკითხულთა მხოლოდ 17% ამბობს, რომ იცნობს აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანს, ხოლო 13% — სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრებს. ეს მონაცემი ადასტურებს, რომ **ფიზიკური და სოციალურ-კომუნიკაციური ბარიერები ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის ურთიერთობების აგებას,** განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობებში, რომლებსაც ომისდროინდელი გამოცდილება არ გააჩნიათ. საინტერესოა, რომ აფხაზეთიდან დევნილებში ეს მაჩვენებელი არსებითად აღემატება სამხრეთ ოსეთიდან/ცხინვალის რეგიონიდან დევნილების მაჩვენებელს (52% და 19%, შესაბამისად).





თუმცა ამ შეზღუდული კონტაქტების მიუხედავად, **საზოგადოების დამოკიდებულება მეგობრობისა და თანამშრომლობისადმი უკიდურესად პოზიტიურია**:

- 85% მზადაა პროფესიული ან ბიზნეს ურთიერთობებისთვის აფხაზებთან;
- 83% — ოსებთან;
- 89% და 88%, შესაბამისად, თანახმაა მეგობრობაზე;



ეს მონაცემები მოწმობს, რომ **ქართული საზოგადოება ემოციურად აღარ იზიარებს ეთნიკური სიძულვილის ნარატივებს** და რომ მისი განწყობები მეტწილად პრაგმატულია. საინტერესოა, რომ რესპონდენტთა 75% აფხაზებს აღიქვამს ისეთივე ქართველებად, როგორც სხვა რეგიონების მოსახლეობას, ხოლო ოსებზე იგივე აზრი აქვს 66%-ს. ნიშანდობლივია, რომ გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა აფხაზსა და ოსთან ოჯახის შექმნასაც კი დასაშვებად მიიჩნევს (78% და 77%, შესაბამისად).



3. <u>პასუხისმგებლობის აღქმა და წარსულის გააზრების მზაობა</u>

საზოგადოების ნახევარზე მეტი (გამოკითხულთა 55%) 2008 წლის **ომის პასუხისმგებლობას ძირითადად რუსულ მხარეს აკისრებს**[4]. ამასთან, 15% მიიჩნევს, რომ პასუხისმგებლობა სამივე მხარეს თანაბრად ეკისრება, რაც მიუთითებს წარსულის მიმართ უფრო ნაკლებემოციურ და გააზრებულ დამოკიდებულებაზე.

[4] საზოგადოება ასევე, ძირითადად, რუსულ მხარეს აკისრებს აფხაზეთსა (46%) და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში (48%) 1990-იან წლებში მომხდარი სამხედრო დაპირისპირების პასუხისმგებლობას.



განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხულთა 65% ეთანხმება აზრს – „მშვიდობიანი ურთიერთობების აღსადგენად ქართულმა მხარემაც უნდა გაიაზროს წარსულში დაშვებული შეცდომები“. ეს მაღალი მაჩვენებელია და ასახავს **საზოგადოების მზაობას თვითრეფლექსიისა და დიალოგისთვის**, რაც შერიგების კულტურის ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობაა.



4. <u>დიალოგისა და ჰუმანიტარული თანამშრომლობის მხარდაჭერა</u>

გამოკითხულთა 84% მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლება უნდა აწარმოებდეს **პირდაპირ დიალოგს** დე ფაქტო ხელისუფლებების წარმომადგენლებთან. მნიშვნელოვანია, რომ, მათი აზრით, ასეთი **დიალოგი სასწრაფოდ უნდა დაიწყოს.** ეს მონაცემი არსებითად

ცვლის წლების განმავლობაში დამკვიდრებულ პოლიტიკურ სტერეოტიპებს, სადაც მსგავსი დიალოგი ხშირად „კომპრომისად“ აღიქმებოდა.





აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი (46%) ამგვარი დიალოგის დღის წესრიგში, პირველ რიგში, გამყოფი ხაზების გარდიგარდმო მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილების საკითხის დაყენებას უჭერს მხარს. თუმცა, პრიორიტეტულ საკითხთა შორის დევნილთა დაბრუნება (32%) და კონფლიქტ(ებ)ის მხარეებს შორის ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაც არის. თვალნათელია, რომ **სამხრეთ ოსეთთან/ცხინვალის რეგიონთან, განსაკუთრებით კი აფხაზეთთან, ფიზიკური კავშირი**

ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხია და, როგორც ჩანს, ქართული საზოგადოების მხრიდან ცენტრალურ ხელისუფლებასა და დე ფაქტო ადმინისტრაციებს შორის ზემოხსენებული პირდაპირი დიალოგის მოთხოვნის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.



ასევე მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ გამოკითხულთა 65% მიიჩნევს მისაღებად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ადამიანებისთვის **საქართველოს მთავრობის მხრიდან ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას**. ეს დამოკიდებულება მიუთითებს მზაობაზე საერთო ინტერესების იდენტიფიცირებისა და ადამიანურ დონეზე ურთიერთობების გაღრმავებისთვის.



5. <u>შერიგების სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ფაქტორები</u>

გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის 73% დარწმუნებულია, რომ ქალების ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში დადებითად იმოქმედებს ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე, ხოლო 80% იგივე პოზიციას იზიარებს დევნილების მიმართ. ეს შედეგები ხაზს უსვამს **შერიგების პროცესის ინკლუზიური ხასიათის საჭიროებას**, სადაც სხვადასხვა სოციალური ჯგუფი (განსაკუთრებით დევნილები, ახალგაზრდები, ქალები) იქნება თანაბრად წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (53%) მიიჩნევს, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის მსგავსი ან უფრო მეტად მსგავსი, ვიდრე განსხვავებული კულტურა და ტრადიციები აკავშირებთ[5]. ოდნავ დაბალია ეს მაჩვენებელი ოსებთან მიმართებით (49%). საინტერესოა, რომ ორივე კონფლიქტის შემთხვევაში დევნილები შედარებით ნაკლებად ემხრობიან ამ აზრს (45% და 28%, შესაბამისად). მიუხედავად ამისა, ეს მაჩვენებლები **შერიგების მნიშვნელოვან პოტენციურ რესურსზე** მიუთითებს. ეთნოკულტურული მსგავსების ეს მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია და, სავარაუდოდ, აღემატება საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებთან ან, მით უფრო, სხვა ერებთან სულიერი სიახლოვის მაჩვენებლებს.

[5] სივრცის ეკონომიის მიზნით, ქვემოთ წარმოდგენილია დიაგრამა, რომელიც გამოკითხულთა მიერ მხოლოდ აფხაზების ეთნოკულტურულ აღქმას ასახავს. თითქმის იდენტურია მაჩვენებლები ოსებთან მიმართებით.



საყურადღებო შედეგი დაფიქსირდა **ქართული საზოგადოების მხრიდან აფხაზებსა და ოსებთან ერთ სახელმწიფოში მშვიდობიანი თანაცხოვრების მზაობის** თაობაზე. გამოკითხულთა 83% (ორივე კონფლიქტის შემთხვევაში) თანახმაა ასეთ პერსპექტივაზე[6]. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი კონფლიქტ(ებ)ის მოგვარებას ეხება, იგი მნიშვნელოვანწილად შერიგების პოტენციალზეც მიანიშნებს.

[6] სივრცის ეკონომიის მიზნით, ქვემოთ წარმოდგენილია დიაგრამა, რომელიც გამოკითხულთა მიერ მხოლოდ აფხაზებთან საერთო სახელმწიფოში თანაცხოვრებას ეხება. თითქმის იდენტურია მაჩვენებლები ოსებთან მიმართებით.



6. <u>ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია როგორც შერიგების საგარეო-პოლიტიკური ფაქტორი</u>

მოსახლეობის 61% თვლის, რომ **საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების გაუმჯობესებას**, ხოლო 56% მსგავს პოზიციას იზიარებს ნატოში ინტეგრაციის მიმართ. ეს მიგნება აჩვენებს, რომ **ევროპული ფასეულობები — დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კულტურული მრავალფეროვნება — უკვე ასოცირდება შერიგებისა და მშვიდობის შესაძლებლობებთან,** რაც საზოგადოებრივი ცნობიერების ევოლუციას ასახავს.





7. <u>ურთიერთობების გაუმჯობესების სხვა ხელშემწყობი ფაქტორები</u>

როდესაც რესპონდენტებს ჰკითხეს, რა შეიძლება გახდეს ურთიერთობების გაუმჯობესების მთავარი ფაქტორი, უმეტესობამ (30%) აღნიშნა **რუსეთის ჩაურევლობა**. ეს მკაფიოდ ასახავს საზოგადოების რეალისტურ ხედვას რეგიონული დინამიკის მიმართ.

მეორე ადგილზეა **ეკონომიკური კეთილდღეობა (29%)**, რაც მიუთითებს მშვიდობის სოციალური განზომილების ცნობიერებაზე. მესამე ადგილზე — **ახალი პოლიტიკის და მიდგომების შემუშავება (28%)**, რაც მიუთითებს მოსახლეობის მზაობაზე ცვლილებებისა და ინოვაციური მიდგომების მიღებისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა (დაახლოებით 60%) მიიჩნევს — **ურთიერთობების გაუმჯობესება შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე,** რაც სერიოზული ტენდენციაა: ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება ხედავს შერიგების პროცესს **როგორც დამოუკიდებელ მიზანს**, **და არა მხოლოდ პოლიტიკური მოგვარების შედეგად მიღწეულ შედეგს.**



8. <u>ურთიერთობების გაუმჯობესების ხელშემშლელი ფაქტორები</u>

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ქართული საზოგადოება **კონფლიქტ(ებ)ის მოგვარებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მხოლოდ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში მოქცევის პირობით** ხედავს. მეტიც, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობისთვის (75%) ყველაზე მისაღები უნიტარული მოწყობის ქართული სახელმწიფოს მოდელია. ომამდელ მოდელს[7], სადაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონს ავტონომიის სტატუსი ჰქონდათ, გამოკითხულთა 47% ემხრობა, ხოლო ერთიანი სახელმწიფოს ფედერაციულ მოწყობას – მხოლოდ 16%. კიდევ უფრო მცირე

[7] იგულისხმება 1990-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში მომხდარი სამხედრო დაპირისპირებები.

მხარდაჭერა აქვს კონფედერაციას (სამოკავშირეო სახელმწიფოს), რაც სულ რაღაც 12%-თვის არის მისაღები.



რაც შეეხება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის საქართველოს იურისდიქციის მიღმა ყოფნას (დამოუკიდებლობა; რუსეთის ფედერაციის სუბიექტობა), ეს გამოკითხულთა 91%-ისთვის მიუღებელია. ეს არის მოცემულობა, რასაც ვერ ეგუებიან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში.



კვლევის შედეგად გამოვლენილი კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც, სავარაუდოდ, არ ქმნის ხელსაყრელ ფონს მხარეებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის, ეს არის **ქართული საზოგადოების დაახლოებით ნახევრის პოზიცია იმის თაობაზე, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი როგორც სამშობლო, საზიარო.** აფხაზეთის შემთხვევაში, გამოკითხულთა 54%-ს, ხოლო სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში 47%-ს მიაჩნია, რომ ეს ტერიტორიები ქართველების სამშობლოც არის. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების არსებითი ნაწილი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს/ცხინვალის რეგიონს სულაც მხოლოდ ქართველების სამშობლოდ აღიქვამს (44% და 50%, შესაბამისად).





ბუნებრივია, ქართული საზოგადოების მიერ კონფლიქტ(ებ)ების მოგვარების შესაძლო გზებთან დაკავშირებით ასე მტკიცედ გამოხატული პოზიცია ხელს არ უწყობს ნდობის აღდგენას და ართულებს დაპირისპირებულ მხარეებს შორის თუნდაც პოლიტიკურად არამგრძნობიარე საკითხებზე თანამშრომლობის დაწყებას. თუმცა, საბედნიეროდ, კვლევა ბევრ სხვა საპირწონე, ხელშემწყობ ფაქტორსაც ავლენს, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

კონფლიქტ(ებ)ის ტრანსფორმაცია: ნოყიერი, მაგრამ დაუმუშავებელი ნიადაგი

კვლევის შედეგები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ქართულ საზოგადოებაში არსებობს **მაღალი პოტენციალი კონფლიქტ(ებ)ის ტრანსფორმაციისთვის** — როგორც ემოციურ, ისე ღირებულებით დონეზე. როგორც დავინახეთ, კვლევის რამდენიმე შედეგი პირდაპირ აჩვენებს ამ პოტენციალის ელემენტებს. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე დამატებითი გარემოება, რომლებიც კვლევის შედეგებიდან პირდაპირ არ იკითხება, მაგრამ ლოგიკური ანალიზის შედეგად გამომდინარეობს.

დროის ფაქტორის აღქმა

კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოება აცნობიერებს დროის ფაქტორს. გამოკითხულთა ნახევარზე მეტს (51%) მიაჩნია, რომ **დრო არ მუშაობს შერიგების სასარგებლოდ.** მიუხედავად იმისა, რომ უკვე 18 წელია, რაც ქვეყანაში არ ყოფილა სამხედრო დაპირისპირება, ამას კონფლიქტ(ებ)ის მოგვარების კუთხით პოზიტიური შედეგი არ მოუტანია: მინიმუმამდეა დაყვანილი დაპირისპირებულ საზოგადოებებს შორის ნდობა, შეწყვეტილია ფიზიკური კონტაქტები, ღრმავდება გაუცხოება. აღნიშნული განაპირობებს ქართულ საზოგადოებაში აფხაზურ და სამხრეთოსურ საზოგადოებებთან ურთიერთობების გაუმჯობესების აუცილებლობის გაცნობიერებას.



კონფლიქტ(ებ)ის მოგვარების მილევადი მოლოდინი

კვლევამ საყურადღებო შედეგი მოგვცა კონფლიქტ(ებ)თან დაკავშირებით საზოგადოების განწყობის ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ – კონფლიქტ(ებ)ის მოგვარების პერსპექტივა. გამოკითხულთა 48%-მა არ იცის ან უარს ამბობს დაასახელოს ვადა, როდის შეიძლება მოგვარდეს საქართველოში არსებული კონფლიქტ(ებ)ი. ამგვარი პასუხი, სავარაუდოდ, მიუთითებს იმაზე, რომ რესპონდენტს ახლო მომავალში მოგვარების მოლოდინი არ აქვს და მას განუსაზღვრელად შორეულ პერსპექტივად განიხილავს. ამ კატეგორიის რესპონდენტები გამოკითხულთა ყველაზე დიდ სეგმენტს შეადგენენ. სიდიდით მეორე სეგმენტს წარმოადგენენ ისინი, ვინც მიიჩნევს, რომ კონფლიქტ(ებ)ის მოგვარებას არანაკლებ 10 წელი დასჭირდება (24%). მესამე ადგილზე არის იმ რესპონდენტების სეგმენტი (10%), რომლებიც საერთოდ არ მოელიან კონფლიქტ(ებ)ის მოგვარებას. სამივე აღნიშნულ სეგმენტებში მოქცეულ რესპონდენტებს (ჯამურად 82%) ყველაზე მეტად ახასიათებთ კონფლიქტ(ებ)ის არსებობასთან შემგუებლობა, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში „გაჭიანურებული კონფლიქტების სინდრომს“ უწოდებენ. ამავდროულად, **კონფლიქტ(ებ)ის არსებობასთან შეგუება არ უნდა აგვერიოს კონფლიქტ(ებ)ის დღევანდელ ფორმაში, რაც შეიძლება სულაც არ იყოს მისაღები.** სწორედ ამას მოწმობს კვლევით გამოვლენილი ზემოაღნიშნული ტენდენციები, რომლებიც კონფლიქტ(ებ)ის ტრანსფორმაციისთვის საზოგადოების მზაობაზე მიანიშნებს. შესაბამისად, კონფლიქტ(ებ)ის მოგვარებასთან დაკავშირებული საზოგადოების უიმედობა **თავის მხრივ კონფლიქტ(ებ)ის ტრანსფორმაციის მხარდაჭერის დამატებით სტიმულად უნდა განვიხილოთ.**



საზოგადოებაში გაჭიანურებული კონფლიქტ(ებ)ის საფასურის გაცნობიერება

გარდა იმისა, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტ(ებ)ის ყოვლისმომცველი დარეგულირება ახლო მომავალში შეუძლებელ ამოცანად ჩანს, თავად კონფლიქტ(ებ)ის ხსენებული ძალადობრივი ხასიათი დიდ ფასად უჯდება ყველა დაინტერესებულ მხარეს. კვლევა აჩვენებს, რომ გაჭიანურებული კონფლიქტების საფასური მრავალასპექტიანია და შეიძლება იყოს ეკონომიკური, საგარეო-პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული. კონფლიქტ(ებ)ის უშუალო მხარეებისთვის ყველაზე მაღალი საფასური სწორედ ეს უკანასკნელი ასპექტია და იგი უკავშირდება მიმდინარე ურთიერთგაუცხოებას, ერთი მხრივ, ქართულ საზოგადოებასა და, მეორე მხრივ, აფხაზურ და სამხრეთ ოსურ საზოგადოებებს შორის. თუ არ შეჩერდა, ეს პროცესი მომავალში შერიგების ყოველგვარ პერსპექტივას დაანგრევს (საილუსტრაციოდ იხ. ზემოაღნიშნული მე-2 ტენდენცია).

გამოკითხულთა 74% მიიჩნევს, რომ არსებული ფორმით კონფლიქტების არსებობა ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას. მართლაც, გარდა იმისა, რომ არსებული კონფლიქტების გამო ზიანდება ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალი (უფუნქციო „ტრანსკამის“ მაგისტრალი; აფხაზეთზე გამავალი რკინიგზა და ავტომაგისტრალი), მაღალია პოლიტიკური რისკის ზოგადი დონე, რაც აზიანებს საინვესტიციო გარემოს.



მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი ევროპულ ინტეგრაციას შერიგებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს (იხ. მე-6 ტენდენცია), იგივე რაოდენობის რესპონდენტებისთვის კონფლიქტების არსებული ფორმით შენარჩუნება თავად ევროპულ

ინტეგრაციას აფერხებს. დამატებით, კონფლიქტების არსებობა საქართველო-რუსეთის ორმხრივი ურთიერთობების მოწესრიგების მთავარი ბარიერიც არის.



ყოველივე ზემოაღნიშნული გვკარნახობს, რომ საქართველოში კონფლიქტ(ებ)ის ტრანსფორმაციისთვის ნიადაგი ნოყიერია, მაგრამ მოითხოვს **გონივრულ კულტივაციას** — სისტემურ კომუნიკაციას, განათლებას, ურთიერთობების ხელშეწყობასა და დიალოგის ახალ ფორმატებს.

დასკვნა

საქართველოში შერიგების თემა ათწლეულებია ტკივილის, შიშისა და იმედგაცრუების ფონზე არსებობს. მაგრამ ამ ტკივილში იბადება რაღაც ახალი – სურვილი, რომ ოდესმე დავიბრუნოთ არა მხოლოდ მიწა, არამედ ურთიერთგაგება, ნდობა და მშვიდობა. ეს ხანგრძლივი გზაა, რომლსაც სჭირდება მოთმინება, ნდობა და პასუხისმგებლობა. მაგრამ ეს არის გზა, რომელსაც სხვა ალტერნატივა არ აქვს.

ჩვენი ქვეყანა დღეს დგას გზაჯვარედინზე, სადაც წარსული არ იშლება, მაგრამ მომავალი ჯერ კიდევ დასაწერია. დღეს **კონფლიქტების პოლიტიკური მოგვარების პერსპექტივა არ ჩანს.** ოკუპაციის, იძულებითი გადაადგილებისა და ნდობის დარღვევის ფონზე, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე დგას **გამოწვევა — როგორ გარდავქმნათ კონფლიქტი ისე, რომ რეალური შერიგება შესაძლებელი გახდეს.**

დროთა განმავლობაში ქართული საზოგადოება დაღვინდა და ცდილობს მოვლენების რეალისტურად აღქმას. სულ უფრო შეიმჩნევა, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შერიგებისადმი უფრო გახსნილი ხდება, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და განათლებულ ფენაში. ეს ტენდენცია **საზოგადოების შიდა ტრანსფორმაციის პოტენციალზე** მიუთითებს,

თუმცა პარალელურად მყიფე რჩება პოლიტიკური ნება და ინსტიტუციური ჩარჩო ამ მზაობის პოლიტიკურ ქმედებად გარდასაქმნელად. მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება რუსეთის მდგომარეობა, რომელიც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება უკრაინასთან სამხედრო დაპირისპირების შედეგებზე.

2024 წლის კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველოს საზოგადოება **დაიღალა გაურკვევლობით და დაპირისპირებით**, და თანდათან მზადაა მშვიდობისა და შერიგების კულტურის გათავისებისთვის. მიუხედავად ინფორმაციული და პოლიტიკური ბარიერებისა, ადამიანური განწყობები უკვე ქმნის საფუძველს კონფლიქტების ტრანსფორმაციის დასაწყებად.

ამიტომ დღეს მთავარი ამოცანაა ამ რესურსის **მობილიზება და ინსტიტუციონალიზაცია** — საზოგადოებრივი მზადყოფნის გარდაქმნა სტრატეგიულ პოლიტიკად. თუ საქართველოს ხელისუფლება, სამოქალაქო სექტორი და საერთაშორისო პარტნიორები შეძლებენ ერთობლივ კოორდინირებულ მოქმედებას, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ტრანსფორმაცია შეიძლება გახდეს რეალური პროცესის დასაწყისი, რომელიც მომავალში შერიგების შესაძლებლობებს გაზრდის.